**რედაქცია**

მელიქიშვილის ქუჩაზე, არტემ ჩარგეიშტოვის სახლებში.

**ხელის-მოწერა**

რედაქციაში და სტ. მელიქიშვილის სტამბაში. ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „Дроэба".

**გაზეთის ფასი**

წელიწადში — 8 მან., ნახევარ წელიწადში — 4 მან. და 50 კაპ., თვეში — 1 მან.

ცალკე ნომერი — ერთი შაური.


# დროება

გამოდის კვირაობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით


**განცხადება**

მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და ფრანცუზულს ენებზე.

**განცხადების ფასი**

დიდი ასოებით, ასოზე — 1 კაპ., ასო-მთავრულია, სტრიქონზე — 8 კაპ., ციცეროთი, სტრიქ. — 5 კაპ. და პეტიტით — 4 კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს გამოგზავნილ სტატიებსა.

დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.


## საქართველო

### დღიური

ორშაბათს-დილის 7 საათიდამ, დაიწყო სამხედრო გიმნაზიაში მისაღები ეგზამენიები. — ოთხასს ყმაწვილზე მეტი მსურველების რიცხვი ყოფილა და ვაკანსია კი მარტო ორმოცი; რაღა ლაპარაკი უნდა, რომ სასტიკი ეგზამენიები იქნებოდა. და მართლაც, დამსწრე პირებისაგან გავიგონეთ, რომ ათი და თერთმეტი წლის ყმაწვილს კი არა, გიმნაზიის მეორისა და მესამე კლასის შეგირდებსაც გაუჭირდებოდათ ზოგიერთ იმ მაგალითების გაკეთება, რომელთაც ამ მცირე წლოვან ბალღებს აკეთებინებდნენ. შედეგი ჯერ არ ვიცით....

*
* *

„კავკაზის" მე 96 № დაბეჭდილია უფ. ეფიმოვსკის პასუხი ჩვენს გაზეთში საჩხერიდამ დაბეჭდილ კორრესპონდენციაზე, რომელშიაც ეს პატივცემული უეზდის ნაჩალნიკი ამბობს, რომ არამც თუ საჩხერის სიახლოვეს, არამედ მთელს ზემო იმერეთშიაც წელს არ ყოფილა მაგალითი მკვლელობისა ანუ გაცარცვისა. — „წელსო" იწერება უფ. უეზდის ნაჩალნიკი 13 აგვისტოს, როდესაც ორი კვირით იმის წინეთ — მის უეზდში, ს. წევას მკვლელობა კი არა, მთელი ომი იყო ხიდიბეგიშვილებსა და წულუკიძეს და ამის მხლებლებს შუა! — მაგრამ ეს რა არის!? იმ ომში მარტო ერთი კაცია ჯერ მკვდარი და როდესაც სამი დაჭრილი კაციც მოკვდება და ამ ამბავს უფ. უეზდის ნაჩალნიკი „მოსკოვის უწყებებში" წაიკითხავს, მაშინ დაგვიწერს კიდევ „კავკაზში," რომ „დროება" ცრუვისო. — ამის შემდეგ ჩვენ ასე მოვიქცევით: როგორც ზემო იმერეთიდამ რამე ამისანა ამბები მოგვივა, „დროებაში" კი არ დავბეჭდეთ, არამედ ჯერ „მოსკოვის უწყებებში" გავგზავნით დასაბეჭდათ, რომ უფ. უეზდის ნაჩალნიკს შევატყობინოთ, თუ რა ამბები ხდება მის სამმართველოში.... მალე იპოვის კვალს, არა?... კარგი, რომ უფ. ეფიმოვსკის „მოსკოვის უწყებების" მორიდება (?) და პატივისცემა (?) მაინც ჰქონია....

*
* *

მოსკოვის უწყებების მე 202 № დაბეჭდილია, რომ თუმც კონსტანტინოპოლში ბევრ გზით დაარღვიეს ეჩმიაწინის პატრიარხზე დაყრილი ხმებიო, მაგრამ იქ მაინც არ სჯეროთ. „არ ემჯობინებაო, რომ პატრიარხი თავათ იტყოდეს რასმეს თავის მდგომარეობაზე და ამ რიგათ მოუღებდეს ბოლოს ამ ხმებსო? „ტფილისის მოამბე" (№ 184) ამაზე უპასუხებს. რამდენათაც შევიტყვეთ, პატრიარხმა ყოველ გვარი ღონის ძიება იხმარა, რომ დაერღვია ეს ხმები. მაგ. კონსტანტინოპოლიდამ იკითხეს მისი უწმინდესის მდგომარეობა და თავათ უპასუხა, რომ, როგორც თვისი ტანმრთელობის, ისე მდგომარეობისაც რუსეთში სამყოფათ ყმაყოფილია. მაშასადამე, თუკი პატრიარხზე ყოფილიყო დამოკიდებული ამ ხმების დარღვევა, აქამდისინ ისინი უნდა მოსპობილიყო. მაგრამ ნათლათ ჩანს, რომ ამ ხმების მიზეზი უბრალო და უანგარო სიცრუვე კი არ არის, არამედ პოლიტიკური ინტრიგაა, რომელსაც საფუძვლათ განზრახული და მზაკვრული სიცრუვე უდევს. ამისთანა ხმების მოსასპობლათ რაც უნდა ჭეშმარიტება სთქვა, ან იტყვიან — სიცრუვეაო და ან ნაბრძანებიო — ასე სთქვიო!"

*
* *

„ტფილისის მოამბე" ამავე ნომერში ადგილობრივ დაჭრილთა და ავანტყოფთ მეომართა მზრუნველი საზოგადოების მმართველობას ურჩევს, რომ სერბიაში გაგზავნოს რამდენიმე ჩვენში განთქმული ქრილობის ექიმები (ხირურგები). — ჩვენის მხრით ამაზე შეგვიძლია დავაშუროთ, რომ ქრილობის ამ განთქმული ექიმებთ შორის იმერეთში თურმანიძეების გვარი იყო ნაქები რამდენათაც ვიცით ეს გვარი თითქმის გარდაშენდა, გარდა ერთის ძმისა, რომელიც იმერეთის ირრეგულიარულ პოლკში ითვლება ექიმათ. ამას ვერ აქებენ ისე, როგორც მისს ძმებს, მაგრამ როგორც სვიმონ თურმანიძის ძმას, მაინც სამყოფათ თაყვანის მცემელნი ყავს.

*
* *

ჩვენ არა ერთხელ გამოგვიცხადებია „დროებაში" რომ ავტორისაგან ხელმოუწერილი ორი სტრიქონიც არაფელი დაიბეჭდებათქო. ამავე სიტყვებით მივმართავთ ეხლა „ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის ერთს წევრთაგანს," რომელსაც უ. ვ. ჩიხიტაურელს პასუხს სწერს „დროებაში" დასაბეჭდათ, მაგრამ ნამდვილი სახელი და გვარი კი არ გამოუცხადებია პასუხზე. — ყოველს სტატიაზე, გარდა პსევდონიმისა უნდა იყოს კიდევ მოწერილი ნამდვილი სახელი და გვარი, რომ რედაქციამ იცოდეს.

*
* *

მადლი ღმერთს! როგორც იქნა ვეღირსეთ, რომ უფ. დობროვოლსკი მაინც შეგვატყობინებს, ტფილისის ერთ-დღიური ალწერის შედეგს, რომლის გამგე და ხელშემწყობი ის იყო. — რადგან ჩვენ გვესმოდა, რომ ის — სანამ ამ „ალწერის" თაობაზე რაღაც დარჩენილს ფულს არ მიიღებდა, საიდამაც რიგი იყო, მანამდისინ გამოცხადებას არ აპირებდა იმის შედეგისას. დღეს კი აცხადებს, რომ ვინც მონაწილეობა მიიღო ამ „ალწერაში", 21 აგვისტოდამ იმათ ფული დაურიგდებათ ამ და ამ წესითო, მაშასადამე სრული იმედი

## ფელტონი

### მოკითხვის წიგნი

—

ძვირფასო მეგობარო! ეს არის შენგან წერილი მივიღე, რომელიც მეტად სასიამოვნო დარჩა ჩემთვის. ჩემს ამბავს ჰკითხულობ. ღმერთმა მოკითხვა ნუ მოგიშალოს, მაგრამ მე კი ვერა ვარ კარგად. — ამდენი ხანია მთელს იმერეთში საშინელი სიცხეა. აღმოსავლეთი ისეთს ქარს გვიგზავნის ხოლმე ხშირად, რომ დაამტვრია ყველაფერი და მისგან აყენებული მტვერი თვალებს გვივსებს; ამ დროს დასავლეთი, წინაამდეგ ჩვენის მოლოდინისა, (ყოველს დღეს მოველით წვიმას), ნიადაგ მოწმენდილია, თითქო დაგვცინისო, და ერთს წვეთს წვიმას არ გვიგზავნის. არც ჩრდილოეთი და სამხრეთი გვწყალობენ, მაგრამ ეს სრულადაც არ არის გასაკვირველი, რადგანაც ამ ადგილებში მყოფთ ზღვების გავლენა ჩვენზე ისპობა თუ სიშორით, თუ თვით [illegible] რემოებებით. მაგალითად ავილოთ ჩრდილოეთი: თუმც ჩრდილოეთში ოკეანეა, — მაშასადამე წყალი ბევრია — მაგრამ მზე იქ ძლიერ სუსტად ათბობს და უსათუოდ ვერ შეუგროვებია ბევრი ორთქლი წყლისა, რომ ჩვენც გვარგოს; ამას გარდა კავკასიის მთებიც იმნაირად ატუზულან, რომ არაფერს შემთხვევაში არ გაუშვებენ რასმე ჩვენკენ. მაგრამ ერთში კი ხელს უნდა გვიწყობდნენ კავკასიის მთები: ჩრდილოეთის ცივმა ჰაერმა ვერ უნდა გადმოატანოს მათ და ვერ მოაწიოს ჩვენამდი. ქარმა და სიცხემ, უწვიმობამ და მტვერმა სწორედ შეგვაწუხეს; პურის მოსავალს მთელს იმერეთში მცირეს ამბობენ; სიმინდი ქარმა წაახდინა, და არ ვიცი, რაგვეშველება. იქნება ღვინის მოსავალმა ივარგოს.

ამნაირმა ცუდმა ტაროსმა არც ჩემს სიმრთელეს დააყარა ხეირი; ავად შევიქენი და ძლიერ ვსწუხვარ; ნიადაგ სიცხე მაქვს, აგერ გადმრევს სულ, და ერთი წვეთი ძილი არ მეკარება. მაგრამ საშუალება [illegible] ძილის მოსაგერელად, მაგრამ არ მოგეცესთ ჭირი, მე ძილი არ მეღირსა... ჰო, მართლა კარგი რამ მომაგონდა! უნდა გაგაცნო ერთი ახალი საშუალება ძილის მოსაგვრელად, რადგანაც, — როგორც საზოგადოთ სხვა საშუალება არ იცი ძილის მოსაგვრელი, — აგრეთვე არც ეს გეცოდინება არც შენ, და არც ჩვენს მეგობარსა და მოძმეს სხვას. რასაკვირველია შეურაცხყოფად არ მიიღებთ ჩემგან ამ უცოდინარობის ჩვენებას. მეგობრობას თავი დავანებოთ, ისეც რომა ვსთქვათ, ამნაირი უცოდინარობა შესანდობია, არაა საზრახისი ჩვენში არავისთვის, რადგანაც არავინ საჭიროებს ჩვენში ამ წამალს, სისულელე არ იქნება, რომ შეუდგეს მის გამოკვლევას და გამოჩხრეკას. ვისაც ძილი ენატრება ეგ წამალი მას უნდა, თორემ ჩვენ გალეიძება გვენატრება ხომ?

მაგრამ შენ უსათუოდ ახალი საშუალების შეტყობას იჩქარი და ამისათვის აღარ მოგაწყენ თავს ბევრის ახალი საშუალება ზღაპარი არისო, ამბობენ. ზოგიერთი ამბობენ, რომ ნამდვილი საშუალებააო, მაგრამ მე კი ვერ დამარწმუნეს ჯერ. დავჰსწყევლოს ეშმაკმა, ერთხელ ვსინჯე და არა გამოვიდა რა. მაგრამ იქნება რამე პირობა დავაკელი? აბა ვნახოთ.

ერთხელ, როდესაც ძილი გამიტყდა საშინლად, დავუძახე ჩემს პატარა დას და შევეხვეწე, რომ ზღაპარს მოჰყოლოდა. ის ჯერ არ აპირობდა თქმას, ფეხი გაიდგა:

— რას ამბობ? შენოტელა კაცისათვის ზღაპარი გამიგონია? მითხრა მან.

— მართალია, ჩემო დიაკო, მაგრამ რა ვქნათ, თუ უიმისობა არ შეიძლება? მივუგე მე; ბოლოს როგორც იყო დავაჯერე და დაიწყო: „იყო და იყო, იყო ერთი მშვენიერი ქალა, რომელიც თავის სიმშვენიერით ედემსა ჰგავდა. იქ ჰსცხოვრებდნენ სხვა-და-სხვა გვარის ფრინველები, იყვნენ სხვა-და სხვა ნაირნი მხეცები. ყველას თავისი ადგილი

უნდა გვქონდეს და ჩვენთან ბევრს სხვასაც, რომ ამ ცოტა ხანში რასმეს ველირსებით, თორემ ეს „ერთდღიური“ აღწერა აგერ „ერთ-წლიურ“ აღწერათ გარდიქცა.

## „დროების“ კორრესპონდენცია

**ქართლიდამ იმერეთამდინ.** აგვისტოს 4-ს. (დასასრული) მშვენიერი რამ არის ეს სოფელი ბუნებითი სილამაზით, სიმდიდრით, რომ ხალხიც ისეთი მშვენიერი ესხას. მაგრამ ამას რას ვამბობ? ყოველს ჩვენს ოხვრა-კვნესაში, ჩვენს სიცილ-ტირილში ის ისმის, რომ ჩვენი ქვეყანა ყოვლიფრად შემკულია, რომ უხეიროები არ ვიყვნეთ, რომ ჩვენ ღირსნი ვიყვნეთ იმის შვილობის და, რასაკვირველია აქაც ეს უნდა იყვეს.

როგორც უნდა იყვეს, მაგრამ მე კი გულს მიწყლავდა იმის ყურება! ხელ-უხლებელ ბუნებას შეჰყურებს ხელ-გულ დაკრეფილი, ღრმა წარსულის ყმაწვილი, უმეცარი ხალხი. დიდებული მეცხრამეტე საუკუნე კიდეც თავდება, არც საშუალ საუკუნეებისაა რა.... წერა-კითხვის გავრცელების კითხვა აქ ჯერაც არ აღძრულა. ბოროტ-მოქმედება დიდის გამჭრიახობით და ხელოვნებით ღვივის. ბავლენიანი პირები იქ დაუდევრობით, უზრუნველობით განისვენებენ, და უბრალოთ კლავენ ამ მშვენიერ დროს, რომლითაც, ვინ იცის, რამდენ კეთილს შესძენდნენ დაცემული ხალხის გონებას.

აქ შკოლა არც ყოფილა და არც არის. როგორც შევატყვე, გონიერი კაცისთვის ადვილია ხალხს ჩააგონოს და შკოლა გააკეთებინოს. და ცოტა საქმე იქნება ამდენი სოფლების *)

*) აქ მარტო აბაშაზედ არ ვამბობ; საზოგადოთ მთელ საჯავახოზედ ვამბობ, რომელიც რამოდენიმე სოფლებიდგან შესდგება.

ხალხის კეთილ გზაზედ დაყენება? მაგრამ ვინ არის კაცი, სად არის გულის ტკივილი!

ერთ წვიმიან დღეს, დილით, როცა ისევ კარგათ ბნელოდა, გამოვეთხოვე მე ამ ჩემს ძვირფასს სოფელსაც. იქიდამ ცოტა უფრო დამშვიდებული წამოვედი. სამტრედიაში მე ერთმა ჩემმა ნაცნობთაგანმა მომაგონა, რომ ურიგო არ იქნებოდა ქუთაისშიაც გამევლო. მე დავთანხმდი.

აქ ერთმა უხეირო შემთხვევამ გააუგემურა ჩემი ტკბილი მოგზაურობა. სასარგებლოა ზოგიერთ მკითხველებისათვის ამ გარემოების გაცნობა. აი საქმე რაში იყო:

ბილეთის აღების დროს მტაცეს ხელი და გამაქანეს სტანციის კანტორაში. რაო და თურმე ყალბი ვერცხლის ფული იპოვნეს ჩემს ფულებში. ეხლა უნდა გაგჩხრიკოთ, სხვაც ხომ არა გაქვსო. ძლივ ძლივ გამიშვეს. მე იმ დრომდის არ ვიცოდი, როგორი უნდა ყოფილიყო ყალბი ფული.

ქუთაისის სტანციიდამ რომ მივდიოდით ქუთაისში, მშვენიერი წვიმა იყო. კარგი რამ არის ამისთანა წვიმაში დარბაისლურათ ხმა მაღლა ბაასობა, თუ წვიმის სუსხს არ გრძნობს კაცი! ჩემს მგზავრებს გაუტკბათ „ომნიბუსით“ მგზავრობა და ჩამოაგდეს გულ-მტკივნეულათ ლაპარაკი იმაზედ, თუ რა სარგებლობა, ან ვნება მოაქვს რკინის გზას ჩვენი ქვეყნისთვის. ყველას შებრალება მიენიჭა ამ ლაპარაკში: ვაჭრების ხსენებაზედ ისეთნაირად აღიძრა ერთი მობაასეთაგანი, რომ კინაღამ ტირილი დაიწყო. მხოლოდ გლეხები კი, საწყალი გლეხები, ვერ იმსახურებდნენ სიბრალულს ამათ გულში.

მივედით ქუთაისშიაც. საწყალი ქუთაისი! დაღვრემით უცქერის კალში მიმავალს მრისხანე რიონს, რომელიც, მოშორდება თუ არა ამ ადგილს, ქვებზედ თავ-პირ დამტვრეული, დაღლილი დინჯდება და მიიკლაკნება დასავლეთისაკენ თვალ-უწვდენელ მწვანე ჭალებში. ცოდვა არ არის ქუთაისო. თითქო ყველაფერი სტოებდეს იმას; ხან-და-ხან კი მწუხარებით მოუხედავენ უკან და ამ მოხედვაზედ ტირილით შებლავლებს ქუთაისი, რომ თუ საჩქაროთ რკინის გზის ტოტი მაინც არ გამომიგზავნეთ, ჩემი სიცოცხლე დიდი ხნის აღარ იქნებაო. ბიკეთიებენ კიდეც ამ გზას, თუ რამეს უშველის! მაგრამ არ ვიცი!..

თავისი წინდახედულობა და ჭკვიანობა კიდე ეტყობა ქალაქს. რომ მშვიდობიანობა დაიცვას, ქუთაისი ხელოვნურათ თვალ-ყურს ადევნებს, რომ საეჭვო ხალხი არ შეეპაროს, რომ არ გაირყვნას საპატარძლო ქალაქი; მაგრამ ამდენ სიფრთხილეში სულ კი დაიცალა და?

მართლა, თუ ქუთაისის ქალაქში ღამის გათევა მოგიხდესთ, ვახშმის შემდეგ, სანამ დაწვებოდე, მზათ იქონიეთ ერთ ნაკუწ ქაღალდზედ შენი ვინაობა დაწვრილებით აწერილი და ადრევე ჩააბარე ბინის პატრონს, თორემ იქნება ისეთ დროს მოგთხოვონ, რომ გულ-და-გულ ძილში იყო, და არ არის კარგი და არც შენ გიამება ძილი დაგიფრთხონ!

აბაშელი

**ზურაბანიდამ,** 12 აგვისტოს. ჩვენში გლახა ამბავი და უსიამოვნო შემთხვევები უფრო ბევრია, ვინემდის კარგი. მრავლდება ერთმანერთში შური, სიძულილი, ცემა-ტყეპა, ხანჯლებით, ჩხა და მასთან ხშირი მკვლელობაც.

ამ ნაირი შემთხვევა მოხდა ჩვენში წასულს ივლისის თვეში.

ჩვენი მეფეების შთამომავალს კნიაზ ალექსანდრე ბაგრატიონს, ყავს ცოლათ ჩვენშიდვე მცხოვრების თ. ღენტორ წულუკიძის ძმის შვილი. ეს კნეინა არის მემკვიდრე თავის მამისა და მე მესამედე კ. წულუკიძისა.

რადგან კნეინას ნაწილის მიღებით მამული შემცირდებოდა, ამისათვის კ. წულუკიძეს სურდა ფულათ გარიგებოდა მის ძმის წულს, რომელმაც აძლია 6000 მანეთი.

კ. ბ. და კნეინასაც, როგორც ამბობენ, თურმე სურდათ ამნაირი გარიგება, მაგრამ ზოგიერთმა უსაქმომ და შფოთის მოყვარემ არ მოახდინა მათ შორის ამ ნაირი გარიგება.

კნეინა ბაგრატიონისა მამულს მოეპატრონა, მაგრამ წულუკიძემ დაავაუწია, არ მიუშვა მამულზე, ვითომც კნეინა ბაგრატიონისა არ არის მემკვიდრე მისის მამისა.

ეს მოქმედება სინიდისის წინააღმდეგია წულუკიძის მხრით, მაგრამ, როგორც გაგვიგონია, ეს დავა იმაში მდგომარეობდა, რომ ფულათ ფიქრობდა წულუკიძე თავისი ძმისწულის დაკმაყოფილებას და მისი ძმის სოულობის შესაკუთრებას.

ამ მემკვიდრეობის ცნობაზე დავა იყო, მაგრამ სასამართლომ კნეინა მაინც იცნო მემკვიდრეთ და გაუნაწილებელათ ჩააბარეს მამული.

თვით ბაგრატიონი არ არის შფოთის მოყვარე, მაგრამ მას ყავს თავის სასახლეში ოთხი ძმები ხიდისბეგიშვილები. ამ კაცებს ხელში ყავსთ დაჭერილი თვით ბაგრატიონი და მისი მამულიც, და როგორც სურსთ ისე ამოქმედებენ.

კნეინა ბაგრატიონისამ მიიღო თუ არა მამული, მაშინვე მოინდომეს ხიდისბეგიშვილებმა წულუკიძის გაჯავრება და ერთგულობის დამტკიცება ბაგრატიონისათვის.

ივლისის 28 სამნი ძმები ხიდისბეგიშვილები ორმოცის კაცით წა-

---

მყუდროდ. ბუნების მშვენიერებას და სიმდიდრეს ამ ჭალაში ემატებოდა კიდევ მგალობელთ ჩიტთა განუწყვეტელი ჭიკჭიკი. მშვენიერება რამ იყო აქ ცხოვრება პირველად, მაგრამ ბოლოს ბევრი ცუდი მოხდა აქაურ მცხოვრებლებთ შორის.

ერთხელ ერთმა ლამაზმა ჩიტმა ბუდე გაიკეთა აქ ხის ტოტზე, შიგ ჩაჰდვა კვერცხები და დაჯდა ზედ. საწყალი ჩიტი სრულიად დაიმედებული იყო, რომ ეს ბუდე იქნებოდა მისი თავშესაფარავი, სადაც ის ტკბილად გაატარებდა რამდენსამე წამს მოკლე ცხოვრებისას, და ჰზრდიდა შვილებს და დააფრენდა; ნიადაგ ჰფრინავდა; როდესაც შვილები გამოჩეკა, მაშინ ერთი ათად შეიქნა მისი მხიარულება. თუმცა დედას შრომა ჰსჭირდებოდა შვილებისათვის საკენკის შოვნაში, მაგრამ ამ შრომას სრულიად არაფრად აგდებდა მომლოდნე მისი, რომ ის რამდენსამე თავის მზგავსს, მალხაზს და ცქვიტს ჩიტებს დაჰზრდის და დასტოვებს ქვეყანაზე.

ამ საქმეს ვინმე მოუშლიდა; არ იცოდა, თუ რა უბედურება უმზადდებოდა.

მართლაც, ერთს დღეს ამდგარა ერთი კაცი, დაუკავებია თოფი ხელში და წასულა ამ ჭალაში სანადიროდ. აკი გაუწყრა ღმერთი და მიადგა ჩვენი ჩიტის ბუდეს! ამ დროს დედა ბუდესთან იჯდა ტოტზე და მშვენიერის გალობით უტკბობდა სმენას თავის ნორჩ შვილებს. უცებ იგრიალა თოფმა და საწყალს ჩიტს სულიც არ დაჰყოლია მიწაზე.

ამ დროს იქ თურმე ახლოს მელია ჰბძანდებოდა, რომელიც თავისუფლად ჰსცუცქნიდა ერთის საწყალის გლეხის ოჯახიდამ მოტაცებულს ქათამს და ტუჩი მისი ბუმბულით ჰქონდა შებუმბლული. თოფის ხმაზე ქათამი ბუჩქში დამალა და წაიწია იქით, საიდამაც თოფის ხმა მოისმა და, დაინახა კომლი თოფის და მონადირე, რომელიც ის იყო მოკლულს ჩიტს იღებდა. მერმე ზევით შეიხედა მელიამ და დაინახა ბუდე, საიდამაც საწყლად გადმოიყურებოდნენ ჩვილნი ობლები. ამნაირის ულმობო მოქმედებით მელიას ვითომ გული გაუსქდა, მიუახლოვდა ბუდეს ძირში, დაცუცქდა და მიჩერებულმა ობლებზე დაიწყო ასე:

ოხ, ღმერთო ჩემო! რამდენი გულგაქვავებული კაცია ქვეყანაზე! რომელი პატიოსანი კაცი ჩაიდენს ამისანა მხეცობას?! იმ კაცმა მოჰკლა ახლა არა მარტო ერთი, არამედ რამდენიმე სულიერი; დედის დაღუპვა, ხომ შვილებსაც დაჰღუპავს, რადგანაც გამზრდელი არ ეყოლებათ? ვინ უნდა დაიფაროს საწყლები სიცივისაგან? ვინ უნდა უზიდოს საწყლებს საკენკი? ვინ უნდა შეაქციოს საცოდავები ტკბილის სიმღერით? ყოველს სულიერს, ამის შემხედვარეს, ცხარე ცრემლი თვალიდამ უნდა გადმოცვივდეს და იძულებული ამნაირის ბარბაროსულის მოქმედებით უნდა მიიღებდეს ის მონაწილეობას ამ საწყლების აღზრდაში. მერმე, როდესაც წამოიზრდებიან თითონ იცხოვრებენ თავისუფლად. დიდად კეთილი საქმეა ამათი დახმარება, დიდად! ოხ, გული მიწუხს მათის შემხედვარეს! ხომ მართალია, რაც ვსთქვი!“ ჰკითხა მელიამ ვილაცას, მიჰსწია რა ტუჩი გვერდზე.

ამ დროს მელიას კუდი გაფაცურდა, გაექნივა — გამოექნივა, მერმეთ მიწაზე დაეფართხუნა და დაემოწმა მელიას:

— სწორედ ჭეშმარიტებას ლაპარაკობ.

„ბაფუჭდა ქვეყანა!“ განაგრძო მელიამ. „სადღაა ან კაცში, ან მხეცში კეთილი გრძნობა?! ყველანი გაღორმუცლავდნენ, აღარ ჰსჯერდებიან თავის მამულს, თვის ქონებას, უნდათ სხვისიც თავისას მიუმატონ და ამ ჰაზრით შეცულნი შევარდებიან სხვა ცხოველების ცხოვრების წრეში, გაჟლეტენ მათ და თავზე დაძლებიან. რა უჭირდა ახლა იმ მონადირეს, რომ ეს საწყალი ჩიტი არ მოეკლა? ძროხები ბევრი ჰყავს სახლში, ვირები, ღორები და ბატები: რატომ ისინი არ იკმარა? აბა, მხეცებო, მოგროვდით და ვიზრუნოთ ამ საწყალ ობლებისათვის! ზოგმა საჭმელი ვუშოვოთ, ზოგმა სიცივისაგან დავიფაროთ, და

ეიდნენ წულუკიძის იმისთანა ტყეში, ხეების მოსაჭრელათ, რომ—ის გააჯავრებდა და შეაწუხებდა წულუკიძეს. მივიდნენ თუ არა ამ ტყეში, წულუკიძემ დაითხოვა ხიდიბეგიშვილები. უთხრა, ჯერეთ არ არის რიგი ამ თვეში ტყის მოჭრისა, რადგან ტყე წახდებაო და მერე—თუ დარჩა ბაგრატიონს, შეუძლია გაიყოს მისი ნაწილი და მოსჭრასო.

ამ სიტყვების შემდეგ ხიდიბეგიშვილები სახლში მისული, კიდევ უკან დააბრუნა მათმა უფროსმა ძმამ; თვითონ თან წაჰყვა და თან იახლეს კიდევ რამოდენიმე ღვინით დამთვრალი კაცი, როგორც ამბობენ, თითო კაცს ორ-ორი კეტი ეკავათ ხელშიო.

ამ ტყეში მოსრულებს, წულუკიძემ გაუმეორა ზემორე სიტყვები, მაგრამ ხიდიბეგიშვილებმა, მაინც უბრძანეს მუშებს ხეების წაღება. წულუკიძემ ნება არ მისცა, მაშინ მიცვივდნენ და ოთხივე ძმებმა ერთბაშათ დაურთეს ხანჯლები და რვა ალაგს დაჭრილი და კეტებით დამტვრეული წულუკიძე დასცეს ძირს.

ამ ჭრილობას კიდევ არ აკმარეს. დაკვლა სდომებოდათ, მაგრამ წულუკიძეს ახლდა თან ოთხი აზნაურშვილი და ერთი გლეხი. ესენი მიეშველენ, მაგრამ ბევრი ვერა გაარიგესრა, გარდა იმისა, რომ დაკვლისაგან კი იხსნეს წულუკიძე.

წულუკიძის მომხრეები, მძიმედ დასჭრეს ხიდიბეგიშვილებმა. ერთი მათგანი ერგემლიძე მოკვდა კიდეც მეოთხე დღეს.

როგორც გამოცდილებს ამ ნაირს ჩხუბში, ხიდიბეგიშვილებს შესანიშნავი ზრდილობა არ მისცემიათ.

ამ საქმის გარემოებას გამომეძიებელი იძევს, კიდეც დააკავეს ორი ძმები ხიდიბეგიშვილები, მაგრამ ცოტა ხანს შემდეგ გაუშვეს. ხალხის თვალში ამათ გაშვებას და გამართლებას ცუდი გავლენა აქვს დაენება.

გამოძიება არის, მაგრამ სიმართლის გამოკვლევა, როგორც სჩანს გაჭირდება. ორთავე მხარე თავიანთ სიმართლეს მოწმებით ამტკიცებენ; შეიძლება მართალი მხარე მტყუანის მოხერხებით და მოწმების სიმრავლით დაიჩაგროს.

ქნეინა ბაგრატიონისა, ძლიერ კარგს ინებებდა, რომ თავისი ქმარი დაეთანხმებინა, სხვის სიტყვას არ აჰყოლოდა და თავის ბიძას გარიგებოდა.

დღეს აქ ერთიღა მხოლოდ ჯიბრის საქმეა, თორემ ბაგრატიონი, როგორც დიდის მამულის მეპატრონე, დღესაც უარს არ იტყვის გარიგებაზე. მაგრამ სამწუხაროთ ამ კეთილ საქმეზე მას სხვანი არ მიუშვებენ.

ჩემის ჰაზრით ის ექვსი ათასი მანეთი უფრო სასარგებლო და გემოიანი იქნებოდა, ვინემდის ამ ნაირი სისხლის ღვრით და ერთმანეთის ამოწყვეტით მამულის მიღება.

კ-ზ ბაგრატიონი ბევრის თვალში მოსაწონ ყმაწვილათ ითვლება, მაგრამ ამ ხიდიბეგიშვილებისა გამო ბევრი კაცი ემდურის. ორ გზის მოინდომა უეზდის მარშლობა და საზოგადოებას თითქმის სურდათ ამოერჩიათ, მაგრამ, რადგან მარშალი ხიდიბეგიშვილები იქნებოდნენ და არა ბაგრატიონიო, ამისათვის ორივეჯერ ააცილეს ამ საქმეს.

ერთის სიტყვით უ. ბაგრატიონი, რომ ამ ხიდიბეგიშვილებს მოშორდებოდეს, მაშინ ბევრი მისი ქვეყნის კაცი, მისი მადრიელი შეიქნება. დღეს კი მასთან ბევრნი უკმაყოფილოთ არიან.

ხუტუია მეზობელი.

# რუსეთი

მოსკოვიდამ იწერებიან „ბირჟის უწყებაში“, რომ იქ გარდაცვლილა 2-ს აგვისტოს ბუნების გამომეძიებელი პროფესსორი პ. ი. ვაგნერი.

— მოსკოვის ქალაქის გამგეობას, როგორც „რუს. უწყება“ ამბობს, პოგოდინის სულის მოსახსენებლად დაუნიშნავს 300 მანეთიანი სტიპენდია, ისტორიკო-ფილოლოგიურ ფაკულტეტზე, რადგან ის ერთგულად მსახურებდა როგორც მეცნიერებას, აგრეთვე ქალაქს, ვითარცა ქალაქის სამსჯავრო დეპუტატი!

* * *

— პოლტავის გუბერნიიდამ იწერებიან ერთს გაზეთში შემდეგ ამბავს: ქალაქს მირგოროდში ერთი მღვდელი, როცა სწირვიდა შეიშალა. გაალო თუ არა საბრალო მღვდელმა ალსავლის კარები, მის ნაცვლად რომ „შიშითა ღვთისათა და სარწმუნოებით მოვედით“ ეთქვა, აღიპყრა ხელები და სთქვა: „მე თქვენ არ გაზიარებთ... მირგოროდის ჭები, და ღვინო მოწამლულია.... ილოცეთ!... მე ბევრი მტერი მყავს, მაგრამ მეგობრებიც არ მაკლია“ და სხვა. მაგრამ ეს კიდევ არაფერი; შეხედა თუ არა შუა ეკკლესიაში კაზაკს შაპოჩკას, მაშინვე მივარდა, სტაცა ხელი და გაიყვანა ეკკლესიიდამ დასავლეთის კარებით. შემობრუნდა ისევ ამბიონზე, დაეცა რიცა იაყვანეს და ცოტა სული მოიბრუნა, შებრუნდა საკურთხეველში, აიღო სასმისი და ძაბრით გადაასხა წმ. საიდუმლო რაღაც შუშაში; აიღო მერე ეს შუშა დაამტვრია სებისკვერი და ზედ გადაასხა შუშიდამ წმინდა საიდუმლო; მერე ეს დაალაგა სინზე და გამოუტანა ხალხს. აქ რაღაც უეცარის ხმით დაიყვირა: „წარიღეთ... ყოველი ესე წმიდა არს ესე არს ნიჭი ღვთისა...“ ამ დროს წამოესწრო იქაურივე დეკანოზი, და როგორც სცნო გარემოება, მაშინვე გაჰხადა ეკკლესიის შესამოსელი ამ მღვდელს და გაგზავნა მირგოროდის საავათმყოფოში. პირველივე დღეს უკეთ იყო მღვდელი, მაგრამ, შემდეგ დღეებში შეშლილობას უმატა და ებოდებოდა ქალუზი... ეხლაც ვერ არის, თურმე, კარგათ. ეს მღვდელი ყმაწვილია და ქვრივი. ცხრა წელიწადია, რაც მღვდლობაშია და შვიდი წელიწადია, რაც ცოლი მოუკვდა.

# უცხო ქვეყნები

**ომის ამბავი.** უნდა ვსთქვათ სიმართლე, რომ ნახევარიც არ გვჯერა ის, რასაც ზოგიერთი გაზეთები ოსმალოების ულმერთოებაზე იწერებიან ამ ომებს დროს. ისე მაგ. რუსული გაზეთების ნომერი არ ჩაგვივარდება ხელში, რომ შიგ უანგარიშო ამბები არ იყოს—ოსმალოებისაგან ქრისტიანების წვალებისა.—ბევრს გაზეთს ცალკე განყოფილებაც გაუჩენიათ—მაგ. ამისთანა სათაურით: „ქრისტიანების წვალება ოსმალოებისაგან.“

მართლა რომ ძნელი დასაჯერებელია მაგ. ამისთანა ამბავი: ზაიჩარიდამ ვენის ერთი გაზეთის კორრესპონდენტი იწერება: „დღეს ერთი საშინელი ხმა გავარდა ქალაქში. ამბობდნენ, რომ აქაურს კომენდატს ასსირ-ფაშას გაუცია ბრძანება—227 დაჭრილი სერბიელები, რომელნიც უკან დახეული ჯარს დარჩათ, მოჰკალითო და ეს ბრძანება ვითომც დღეს დილით კიდევაც აღსრულებიო თ.—გამვლელებს ესმოდათ თურმე საშინელი და შემაძრწუნებელი შველის ყვირილი, მოთქმა და ტირილი.—იქვე ყარაულებს რომ ჰკითხავდნენ—რა ამბავიაო, არ ვიცითო—უპასუხებდნენ და როდესაც ეს ამბავი თავათ კომენდატს შეატყობინეს, იმან ისეთი სახე მიიღო პასუხის მაგიერ, რომ ვითომც არც კი იცის—მის გამგეობის ქვეშ იყვნენ ან არიან დაჭრილი სერბიელები, თუ არა.—მაგრამ მე

ზოგმა ეუგალობოთ ტკბილად“. ამ დროს სიომ შემოუბერა, ბუდე გააქან-გამოაქანა, ეტყობოდა ბუდე ჩამოვარდნაზე იყო. მელია აწრიალდა, თითქო საწყალთ ჩიტების მდგომარეობა აწუხებსო. უცებ ბუდე თავის მდგმურებიანათ ძირს დაეცა. მელიამ იმ წუთში პირი სტაცა ბუდეს და წაიღო ჩიტებიანათ ბუჩქებში. ერთსაც აღარ დაჰსჯერდა, ყველანი წაიღო ერთად ბუდით. მაშინ იქ მდგომთ სხვა-და-სხვა მხეცთაგან,—რომელნიც მელის სიტყვებმა შეაგროვა, წამოდგა ერთი და ჰ თქვა: „ჰო, ასრულდა ჩემი სიტყვა: „მგელს მგელობა დაერქვა და ტურამ ქვეყანა დააქცია“. რამდენჯერ მითქვამს, რომ მელია ცუდი სულიერია? ის კუდიანი, ისე გულმტკივნეულად რომ ლაპარაკობდა იმ ჩიტის ბღარტებზე და მონადირეს აძაგებდა, თავის თავზე რას იტყვის, რომ სორო გამოვსებული აქვს სხვა და სხვა ცხოვრებით. თოფის გავარდნის წინათაც ქათამს შეექცეოდა ის კუდიანი, ის! ახლა ხომ გჯერათ, რომ მელია ქვეყნის დამქცევია? არა, ძმანო ოთხფეხნო და ორფეხნო ცხოველნო, ნუ დაგვიგდია უყურადღებოდ ჩვენ ამ ჭალის თანა მცხოვრებლები. ისინიც ბუნების გაჩენილნი არიან; ოთხფეხია, თუ ორფეხი—ეგ სულ ერთია. ყველას აქვს უფლება ამ ჭალაში თავისუფალის ცხოვრებისა. თუ ჩვენი თანამემამულე, ჩვენი მეზობელი დაჩაგრულია ვინ განაც უნდა იყოს, ჩვენ თუ სულიერები ვართ და რამოდენიმეთ ოთხფეხთა და ორფეხთა სიყვარული გვაქვს გულში, მაშინ იმათი ჭირი, ჩვენს საკუთარ ჭირად უნდა ჩავსთვალოთ და ყველაფერში შეწევნა გამოვუჩინოთ. არა, ცხოველებო, ასე არ ვარგა. აი რა არის საჭირო: შევგროვდეთ ყველანი და წავიდეთ იმ მელიას სოროსთან და ამოვსთხაროთ მას კისერში მისი საძაგელი ყოფა-ქცევა. სოროს ორი შესავალი აქვს. ორივე მხრიდამ მივადგეთ, მელიას ტვინი აებნევა, რადგანაც უნდა იტრიალოს იქითა და აქეთ. ამ დროს უსათუოდ ერთი რომელიმე ძაღლი მოავლებს ფეხებში კბილებს და გამოათრევს გარე......“

— ამ შენმა ზღაპარმა დამაძინა კიარა, სულ დამიკარგა ძილის სურვილი! რაღა მეშველება ახლა? რა მიქენი ეს? ამისანა ზღაპარის თქმას, რომ სულ არაფერი გეთქვა, ის არ ჰსჯობდა, ვუთხარი მე ჩემს მეზღაპრეს, გავაწყვეტინე რა ზღაპარი.—მოდი ერთი სიმღერა ჰსთქვი რამ, იქნება თავი შევიქციოთ როგორმე ოფლის მოსვლამდის! შევეხვეწე კიდევ ჩემს დას.

— რა გიმღერო? მკითხავმან.

— რაც გერჩიოს, ვუთხარი მე, ოღონდ თავი კი შევიქციოთ. არჩევანის დრო არ არის ახლა. არჩია მან თითონ, არჩია და ბოლოს „ნანაზე“ გაჩერდა. დაიწყო სიმღერა „წიწერნაკის“ ხმაზე და როდესაც ჩავიდა იმ ადგილთან, სადაც ჰსწერია: „ალინთე ცეცხლის გული, მტერსა დაეცი მეხად და ვით შვილი ერთგული დააკვდი....“ აქ უცებ შესწყვიტა სიმღერა სიტყვაზედ „დააკვდი“, რადგანაც საშინელი ყვირილი შეიქნა ქუჩაზე; რამოდენიმე კაცი მოვარდა ჩვენ ფანჯრებზე და ბრახუნი დაუწყეს, მუჭებს ჰსცემდნენ, გამწარებულნი და თანაც ამბობდნენ: „როგორ ჰგალობს ეგ ოხერი, ვიღაცა არის!“ იტალიანურს კილოზე როგორ შეიძლება ჩვენში სიმღერა?! მაგრამ,—სიმღერა რადგანაც შეჰსწყვიტა ჩემმა მომღერალმა და არც მე ვილებდი ხმას,—გაბუსუნებული ვიყავი,—უსიამოვნო სტუმრები მალე მოგვშორდნენ და წავიდნენ ბალისაკენ უდარდელის სიმღერით. დიდხანს გვესმოდა მათი სიმღერა: „ისევ და ისევ ღვინითა, არიალალე, დროც გავატაროთ ლხინითა თარიალალე!“

ამნაირ მდგომარეობაში ვარ, ჩემო საყვარელო მეგობარო, და არ ვიცი, რავქნა. თუ არ დამივიწყებ და ჩემს ამბავს კვლავ მოიკითხავ, მზათ ვარ უძლურებას არ შევუშინდე და გიპასუხო.

შენი ძმა და მეგობარი
ქუთაისელი

ქუთაისი 12 აგვისტოს

გაიგე, რომ როდესაც, ჩერქეზების უფროსი მიიდა იმასთან და ჰკითხა: დაჭრილი სერბიელებს რა ვუყოთ, იმან უპასუხა თურმე: დაჭრილები ჩვენთვის საჭირონი არ არიანო! და ეს პასუხი ისეთი კილოთი უთქვამს, რომ ჩერქეზების უფროს გაუგია, რასაც ის ნიშნავდა. გამობრუნებულა იქიდამ, წაუყვანია კაცები და უკანა კარებით შესულა ლაზარეთში, სადაც ეს დაჭრილები იწვნენ.—რამდენიმე მინუტში ბოლო მოუღიათ მათი გაწვალებული სიცოცხლისთვის. დამახინჯებული გვამები შუა ღამემდი ლაზარეთში ყრილა და ნაშუაღამებს კი ორმოცი ურმით გაუტანიათ ქალაქ გარეთ და ზაიჩარის ჩრდილოეთის მხარეს თხრილებში ჩაუყრიათ.—ოსმალოები არ მალავენ ამისთანა შემთხვევებს, თუმც ერთმა ოფიცერმა, რომელსაც ამ ამბავზე ლაპარაკი ჩამოუგდე მითხრა: საკვირველია! ქალაქში დაჭრილი სერბიელები ჩვენ არ გვყოლიაო!?“

ჩვენ არ შეგვიძლიან გადმობეჭდა, ადგილის უქონლობის გამო, თორემ რამდენიმეთ უფრო ამ მოყვანილ ამბავზე საზარელი ამბები იბეჭდება—ქრისტიანების წვალებაზე ოსმალოებისაგან.— საკვირველი ყველა ამ ამბებში ისაა, რომ ამ ულმერთოებას, ქრისტიანების წვალებას ოსმალეთში უმთავრესად ჩვენეთიდამ გარდასახლებული ჩერქეზებს აბრალებენ. საკვირველია, რომ ამ გარდასახლებამდი ჩერქეზებს ჩვენში სრულებით ამ გვარი ხმა არ ჰქონდათ დავარდნილი!—ვინ იცის—თუ კი ეს ხმები მართალია, რა მიზეზი უნდა იყოს ჩერქეზების ამ გვარი მოქმედებისა.

— 16 აგვისტოს მოსული ტელეგრამმა გვაცნობებს, რომ უმთავრესი სახელმწიფოებს მოლაპარაკება აქვთო დააჯერონ ოსმალეთის მართებლობა, რომ მან პატივი სცეს ჟენევის კონგენციის გარდაწყვეტილებას. ისინი ერთად თხოულობენ ომის შეწყვეტას. ოსმალო ეს ეს არის დათანხმდა დროებით შეწყვეტას ომიანობა.ის

— ახალში და ჯერ კიდევ გამოუცემელს თავ. მილანის მანიფესტში არის ნათქვამი, რომ ჩერნოგორია და სერბია, უკანასკნელ ღონისძიებამდინ იომებენო.

— ბელგრადში შამილის შვილს მოელიან, რომელიც ჩერქეზების წინამძღომელი (?) იყო. ის, როგორც ამბობენ, სერბიის არმიაში აპირებს შესვლასაო.

# განცხადებანი

## გრადუსი 9 კოპეიკათ.

პურის არაყი, აქციზის ვალი მიცემული, კარგად გაწმენდილი (აჩიშჩენი) იყიდება სპირტის ოპტოვოი სკლადში ნადვორნი სოვეტნიკ ალექსანდრე ლაზარიჩ თაიროვისას, თავის საკუთარ სახლში, არქიელის მეიდანზედ. სყიდვა შეიძლება 3 ვედრომ 40 გრადუსამდე და მეტიც.

(3—1)

დაიბეჭდა ქუთაისში და ისყიდება სასწავლებლის ზედამხედველთან უ. მ. ასათიანთან

## კანონები

მღვდელთათვის საცოდნელად საჭირონი, სასულიერო სასწავლებელთა და სხვათა წესდებათაგან გამოკრებულნი ქართულს ენაზედ. (3—3)

## LA VELOUTINE
(ველუტინი)

ერთნაირი ბრინჯის პუდრი (უმარილო), ბისმუტით გაკეთებული.

ისეთი ზედმოქმედება აქვს ადამიანის ხორცის კანზე, რომ ალბობს და ახალგაზდა ადამიანის კანს დაამსგავსებს.

კანს ეკვრება და არა სჩანს.

შ. ფაი—გამომგონი

## pommade satin
(ატლასის პომადა)

ხელების კანის რბილად შესანახავად; ზამთარში არ დაუსკდება ხელის კანი, ვინც ამ პომადას ხმარობს.

9, Rue de la Paix, Paris

156—55




ათასი პირი, ქალი და კაცი თავისის მშვენიერის თმის ქონებით ვალდებული არის მხოლოთ სამზღვარ გარეთ ვაჭრობაში შემოტანილ ესრეთ წოდებულ **მცენარეობითს ქინო-გლიცერინის პომადისა**, რომელსაც თმა ამოჰყავს. ეს პომადა უცდია ძვირს გამოჩენილ ექიმობისმცოდნეს და რეკომენდაციის წიგნი აქვს ქიმიის პროფესორისა ლანდგერიხტთან დანიშნულისა, ვენაში, უ. კლეჩინსკისა და ნებართვა აქვს მოსკოვის საექიმო მთავრობისა; საკვირველი და წარჩინებული წარმატება ჰქონდა და უკანასკნელ დროს მოსკოვის საექიმო მთავრობამ განიხილა და ჰპოვა კარგი თვისება ამისი.

წესიერათ იმის ხმარებაზე მომატებულათ მოსვლეპილი თავიც კი მალე თმით იმოსება. საკვირველათ თავის კეფას უმაგრებს, სრულებით კანის ყოველ გვარ ქერქეშს აშორებს, თმას ამაგრებს, მცირე ხანში ბუნებითი სიბრწყინვალეს აძლევს და მეტის-მეტ მშვენიერის სუნით, რომელიც იმისი ძვირფასი კუთვნილებაა, რასაკვირველია, პირველის ტურფა ტუალეტის დამამშვენებელია.

ყველა ეს თვისებანი ჩემის ნაწარმოებისა მაძლევს სრულს სიმართლეს იმედი ვიქონიო, რომ რუსეთში ძალიან ვასავალი ექნება უპატივცემულესის პუბლიკის სასარგებლოდ.

**ფასი ბანკისა 2 მანეთი**

ყოველ ბანკთან არის დარიგება—თუ როგორ უნდა იხმარონ ეს პომადა

## პომადა
## „PASTA EUGENIE“



ამ პომადის გამამგონს აქვს პატივი განუცხადოს საზოგადოებას, Pasta Evgenie იყიდება **თფილისში** ლანკოს მუზიკალურ მაღაზიაში, სასახლის ქუჩაზე, არწრუნის ქარვასლაში, **ვლადიკავკაზში**—სევალთან და **სტავროპოლში** კურილჩენკოსთან, სადაც ისყიდება სხვა აქ მოყვანილი ნივთებიცა.

ეს პომადა „Pasta“ იმითია შესანიშნავი, რომ ცოტახნის ხმარების შემდეგ, ლაქები, ჭორფლი, ქერქეში და სიცხისაგან სახეზე მოდებულ სიშავე სრულიად იკარგება და მსწრაფლადაც. პირის სახე იწმინდება და ახალგაზდა ადამიანის სიცხოველე ეძლევა. ყველაზე უფრო ეს პამადა იმათთვის არის საჭირო, ვისაც სუფთა და თეთრი პისისახე ჰსურთ, რომ ჰქონდეთ. მყიდველებისათვის გარანტი, არის ვენის ქიმიის პროფესორი კლეჩინსკი და მოსკოვის საექიმო მთავრობის მოწმობა.

**ფასი ერთი ბანკის 1 მან. და 60 კაპ.**

ბანკთან არის დარიგება—თუ როგორ უნდა იხმარებოდეს.




ყოველ პამადის ბანკას, როგორც თმისთვის აგრეთვე „Pasta“-ს აქვს თავის დაღი, ამურის სურათით და გამამგონის ხელის მოწერა. ყიდვის დროს ამას ყურადღება მიაქციეთ.

P. S. პამადა „Pasta“ გამოსადეგია აგრეთვე იმათთვის, ვისაც ხორცის კანის ავათმყოფობა არა აქვს, მაგრამ ჰსურს, რომ წმინდა ხორცის კანი ჰქონდეს სახეზე, ხელებზე და ყელზე. BERTHAE RIES.



## ხელის პამადა

ეს პამადა ისეა შედგენილი, რომ იმის ხმარების შემდეგ, ხელის კანი განსაკვირველად რბილდება, თეთრდება და მხოლოთ ღრმა მოხუცებულებაში ჰკარგავს ამ თვისებებს.

**ერთი ბანკის ფასი 1 მან. და 30 კაპ.**

**თმის საღებავი**—ათი მინუტის განმავლობაში ღებავს და ექვს კვირას სძლებს. ფასი სამი მანეთი.

**ტოკაის ბალზამი**—საშუალება გაზოლისათვის. ფასი 60 კაპ. 54—30

| რკ. გზა. | დილა. | | საღამ. | | II კ. | | III კ. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| თფილისი . | 9 | 36 | 4 | 54 | | | | |
| მცხეთა. . . | — | — | — | — | - | 68 | - | 38 |
| გორი . . | 12 | 21 | 8 | 41 | 2 | 40 | 1 | 23 |
| ხაშური . . | 2 | — | 11 | 10 | 3 | 92 | 2 | 18 |
| ბექათუბანი | — | — | | | 4 | 42 | 2 | 46 |
| ყვირილა . | — | — | | | 5 | 81 | 3 | 23 |
| ქუთაისი. . | 8 | 23 | | | 6 | 75 | 3 | 75 |
| სამტრედია . | — | — | | | 7 | 73 | 4 | 29 |
| ახ.-სენაკი . | — | — | | | 8 | 57 | 4 | 76 |
| ფოთი. . . | 11 | 44 | | | 9 | 75 | 5 | 42 |
| ფოთი . . | 8 | 40 | | | | | | |
| ახ.-სენაკი. | — | — | | | 1 | 18 | - | 66 |
| სამტრედია. | — | — | | | 2 | 6 | 1 | 14 |
| ქუთაისი . | 11 | 51 | | | 3 | 4 | 1 | 69 |
| ყვირილა. . | — | — | | | 3 | 98 | 2 | 21 |
| ბექათუბანი | — | — | ღამე | | 5 | 33 | 2 | 96 |
| ხაშური . . | 5 | 41 | 1 | 6 | 5 | 84 | 3 | 24 |
| გორი . . | 7 | 23 | 3 | 6 | 7 | 36 | 4 | 9 |
| მცხეთა . . | — | — | | | 9 | 8 | 5 | 4 |
| თფილისი . | 10 | 16 | 7 | 24 | 9 | 75 | 5 | 42 |

### ცეცხლის გემები

ა) ფოთიდამ მიდის:

ოდესისკენ—შაბათს დილის 8 საათ.

სტამბოლს—კვირაობით, დილას.

ბ) ოდესსიდამ:

ფოთისკენ—ორშაბ. ნასად. 3 საათ.

სტამბოლს—ოთხშაბათს, შუადღეზე

| ფოთიდამ: | I | | II | | III | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სოხუმამდი . | 4 | „ | 3 | „ | 1 | „ |
| ქერჩამდი. . | 20 | 50 | 15 | 50 | 5 | „ |
| ტაგანროგ. | 34 | „ | 27 | „ | 8 | 60 |
| ოდესსამდი. | 38 | „ | 30 | „ | 9 | 60 |

| ტელეგრაფი | მ. | კაპ |
|---|---|---|
| ოცი სიტყვა თფილისიდამ: | | |
| ქუთაისს, ფოთს . . | 1 | — |
| გორს, დუშეთს, სიღნახს | | 50 |
| როსტოვს ოდესას მოსკოვს | 2 | — |
| პეტერბურგს, ვარშავას . . | 2 | — |
| ოსმალეთში, შვეიცარიაში | 3 | — |
| იტალიაში და საფრანგეთში. | 3 | 50 |
| ინგლისში. . . . . . . . | 3 | 75 |

### ფოშტა

ა) თფილისიდამ:

სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ოთხშ., ოზურგეთს—პარასკ. და ორშაბ. ბაქოს—ორშ. სამშაფ. და შაბ. ქახეთს—სამშ. და შაბ.

ბ) ქუთაისიდამ:

თფილისისა და ფოთისაკენ—ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს—ორშ. და პარასკ. ზუგდიდს—ოთხშაბ.

გ) გორიდამ.

ყოველგან ყოველ დღე, კვირას გარდა.

დ) ფოთიდამ:

ყოველგან ყოველ დღე, კვირას გარდა.

| წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ: | კაპ |
|---|---|
| ღია წიგნის . . . . . . . . | 4 |
| დაბეჭდილის (სამი მისხალი) . | 8 |

| ბირჟა | მან. | კაპ |
|---|---|---|
| პეტერბურგი, 11 აგვის. | | |
| ერთი მანეთი ღირს: | | |
| ლონდონში $3^1/_2$ პენსი. | — | 84 |
| პარიჟში $331^1/_2$ სანტიმი. | — | 89 |
| ესკონტი(სარგებლისფასი) | 6 | — |
| ბანკის ბილეთი 5% | 99 | 25 |
| მოგებიანი(პირველისესხი) | 198 | — |
| მოგებიანი (მეორე სესხი) | 196 | 50 |
| გირაოს ფურცლები: | | |
| თფილ. სააზნ. ბანკისა. | — | — |
| ხერსონის ბანკის ($5^1/_2$) | 88 | — |
| მოსკოვის (5%). . . . | 91 | 25 |
| აქციები: | | |
| ოდესის სავაჭრო ბანკის | 158 | — |
| ფოთი-თფილ. რკინ. გზის | 139 | 50 |
| შავიზღვის ცეცხ. გემების | 530 | — |
| კავკაზის და მერკურის. . | 205 | — |
| პირვ. საზღვევ. საზოგ. | 724 | — |
| პეტერბ. საზღვევ. საზ. | 263 | — |
| მოსკოვის საზღვევ. საზ. | 260 | — |

| მაზანდა | მან | კაპ |
|---|---|---|
| თფილისი, 19 აგვის. | | |
| პური შოთრაგალის ფთ. | — | 80 |
| ქერი ფუთი. . . . | — | 60 |
| ბამბა ერევნისა, ფუთი . | 5 | 50 |
| —ამერიკისა, ფუთი. . | 6 | 30 |
| გაპენტილი ბამბა ფ. | 8 | — |
| მატყლი თუშური ფთ. | 7 | 50 |
| —თარაქამისა ფთ. . | 7 | 50 |
| აბრეშუმი ნუხური გრ. | 2 | 60 |
| ქონი, ფუთი. . . | 4 | — |
| ქონის სანთელი ფუთი. | 5 | 60 |
| სტეარინის სანთელი, ფ. | 10 | 30 |
| ხორცი ძროხისა, ლიტ. | — | 45 |
| —ცხვრისა, ლიტრა. . | — | 54 |
| სპირტი, ვედრო. . . | 6 | 60 |
| შაქარი, ბროც. ფუთი . | 6 | 90 |
| —ფხვნილი ფუთი . . | 5 | 80 |
| ყავა გრგვალი ფუთი . | 19 | — |
| ზეთი ქუნჯუთისა ფ. | 5 | 50 |
| ოქრო $^1/_2$ იმპერიალი. . | 6 | 27 |